ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ფორუმი

ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ფორუმი იმართება ყოველწლიურად და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სწავლების **სამივე საფეხურის სტუდენტებსა და პროფესორებს**.

2015 წელს ფორუმში განაცხადი შემოიტანა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო სწავლების საფეხურის სამმა სტუდენტმა და ხუთმა პროფესორმა.

ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებულმა კომისიამ შეიმუშავა შეფასების კრიტერიუმები. **ფაკულტეტის პროფესორების სტატიები გაიგზავნა გარე რეცენზირებაზე, სტუდენტების ნაშრომები კი კომისიამ თავად შეაფასა.**

საბაკალავრო დონის სწავლებიდან კომისიამ გამარჯვებულად ცნო სტუდენტი **ეკატერინე ლაზარაშვილი** მოხსენებით **"საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ტექნოლოგიური ზემოქმედებით გამოწვეული პრობლემები"**. ნაშრომი შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე: https://tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/shavi%20zgva_54832.pdf

გარე რეცენზენტების შეფასებებისა და კომისიის წევრების შეფასებების დაჯამების შედეგად გამოვლინდა პროფესორთა ნაშრომებს შორის საუკეთესო: პოლიტიკის მეცნიერებათა მიმართულების პროფესორის, **კორნელი კაკაჩიას** (თანაავტორი ზ. შირიევი) მონოგრაფია **"აზერბაიჯან-საქართველოს ურთიერთობები: სტრატეგიული კავშირის საფუძვლები და გამოწვევები",** რომელიც დაიბეჭდა სტრატეგიული კვლევების ცენტრის (sam.az) ჟურნალში „SAM Review" 2013 წელს. ნაშრომი შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე: http://www.ponarseurasia.org/article/azerbaijan-georgian-relations

გამარჯვებულებს გადაეცათ ფულადი ჯილდო, ხოლო მათი სტატიები დაიბეჭდა თსუ კრებულში.